


რესურსები



კომპიუტერული
ლაბორატორია



ელექტრონული
ბიბლიოთეკა



საქართველოს უნივერსიტეტი

77, მ.კოსტავას ქუჩა, თბილისი 0171, საქართველო
www.ug.edu.ge
2 55 22 22



ბიზნის, ეკონომიკისა და
მართვის სკოლა



რატომ საერთაშორისო უნივერსიტეტი

საქართველოს უნივერსიტეტი გამორჩეულია უმაღლესი ხარისხის, მომთხოვნი საგანმანათლებლო პროცესითა და ისეთი ტიპის თანამედროვე ინფრასტრუქტურით, რომელშიც ადამიანი ხარისხიან განათლებასთან ერთად პრაქტიკულ უნარებსაც ეუფლება. სწორედ ამიტომ, საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტი, რომლის კურსდამთავრებული დასაქმების რეალური პერსპექტივით არის უზრუნველყოფილი. საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ლაღად და მყარად გრძნობენ თავს კონკურენტულ გარემოში.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი წარმოადგენს მაღალკვალიფიციურ, კრეატიულ და ენთუზიაზმით აღსავსე პროფესიონალებისაგან შემდგარ გუნდს, რომელიც მზად არის აღზარდოს აუცილებელი ცოდნით, უნარებითა და ღირებულებებით აღჭურვილი ადამიანი. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში არსებულ მულტიკულტურულ გარემოში ყალიბდება ჰუმანური ღირებულებების მქონე მოაზროვნე, განათლებული პიროვნება, რომელიც თავისუფლად უმკლავდება დღევანდელ სამყაროში არსებულ გამოწვევებს.

საქართველოს უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტია, რომლის მიზანი თითოეული სტუდენტის პიროვნული განვითარება და მისი, როგორც მაღალი დონის პროფესიონალის ჩამოყალიბებაა. სწორედ ამიტომ, ჩვენი კურსდამთავრებული მოთხოვნადაა თანამედროვე შრომით ბაზარზე, რასაც მათი დასაქმების უმაღლესი სტატისტიკური მაჩვენებელი ადასტურებს.



მარიამ კვახელიანი - გიზნას ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებული

აქ გატარებულ 4 წელს გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემი პროფესიული წინსვლისთვის. სტუდენტობის პერიოდში სწავლის გარდა აქტიურად ვიყავი ჩართული სხვადასხვა სტუდენტურ კლუბებში და პროექტებში. უკვე მესამე კურსიდან დავიწყე სრულ განაკვეთზე მუშაობა ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში, ხოლო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა მსოფლიოს წამყვან საკონსულტაციო კომპანია - დელოიტში გადავრჩე. სამსახურთან ერთად, პარარელურად მიწევდა ACCA-ს გამოცდების ჩაბარება სადაც, 3 მიმართულებაში სესის top achiever ვაგხდი.

2 წლიანი სამუშაო გამოცდილების შემდეგ დელოიტიდან წამოსვლა საპატიო მიზეზის გამო მომიხდა - მივიღე ამერიკის მთავრობის სრული დაფინანსება (ფულბრაიტის პროგრამა) მაგისტრატურაზე სწავლისათვის. ამჟამად ოფიციალურად MBA სტუდენტი ვარ და მივემგზავრები New-York -ში სწავლის გასაგრძელებლად. მიმაჩნია რომ საქართველოს უნივერსიტეტში მიღებულმა განათლებამ და სტუდენტურმა გამოცდილებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩემი კარიერის ამგვარ განვითარებაში.



პროგრამები

საბაკალავრო

- **აკონომიკა**
- **გიზნასის ადმინისტრირება (კონცეპტრაციით ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)**
- **გიზნასის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამა**

საჯარო მმართველობა

ბუღალტრული



სამაგისტრო

- **გიზნასის ადმინისტრირება**
- **საჯარო ადმინისტრირება**
- **გიზნასის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამა**

სადოქტორო

- **გიზნასის ადმინისტრირება**



შემოქმედებული გიზნას ლიდერების ჯგუფს

ბიზნესის, ეკონომიკისა და მართვის სკოლა ერთ-ერთ წამყვან პოზიციას იკავებს ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის, საჯარო მმართველობისა და ტურიზმის პროგრამების განხორციელებაში. სკოლა ორიენტირებულია პროგრამებში დანერგოს ის სასწავლო კურსები, რომლებიც შემუშავებულია საერთაშორისო და თანამედროვე პრაქტიკის მიხედვით. 2016 წლიდან ბიზნესის, ეკონომიკისა და მართვის სკოლა არის CEEMAN-ის ინსტიტუციონალური წევრი საერთაშორისო აკრედიტაციის მიმართულებით.

გარდა აკადემიური შესაძლებლობებისა, ბიზნესის, ეკონომიკისა და მართვის სკოლა სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა პროექტში, საერთაშორისო პროგრამებში, სემინარებსა და ვორკშოპებში მონაწილეობას, ასევე გაცვლით პროგრამებს ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში. წარმატებულ სტუდენტებს სკოლა უფინანსებს ევროპის ინოვაციის აკადემიის საზაფხულო პროგრამაში მონაწილეობას. ბიზნესის, ეკონომიკისა და მართვის სკოლის ფარგლებში გავლილი ბუღალტრული კურსების აღიარება ხდება ACCA-ის (Association of Chartered Certified Accountants) ფარგლებში, რის საფუძველზეც სტუდენტები მიიღებენ პროფესიულ ბუღალტერთა სერტიფიკატს. სკოლა ხელს უწყობს სტუდენტების სამეწარმეო ინიციატივებს და აფინანსებს სტუდენტურ პროექტებს. სკოლის კურსდამთავრებულების 92% არის დასაქმებული ან სწავლას აგრძელებს საზღვარგარეთ სამაგისტრო საფეხურზე.

